ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 44

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: 28 თებერვალი 2017 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - ,,ხელშეკრულება") - ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში - ,,შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

,,მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს,. რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის:

,,დღე" ,,კვირა" ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს. თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთი მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი - ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ **TRESGE22**, ა/ა **GE24NB03301002001165022** – (შემდგომში - ,,შემსყიდველი")

და მეორე მხრივ: , ფ/პ „კახაბერ ქიტიაშვილი" რომლის რეკვიზიტებია: პ/ნ 31001017168, მცხეთა, ზაჰესი, წინამძღვრიშვილის 2 .მომსახ. ბანკი - ს.ს.,, თი ბი სი ბანკი" ბ/კ **TBCBGE22**, ა/ა GE73TB7907745061600003, შემდგომში - ,,მიმწოდებელი"

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: CPV – 44600000 ქ. დუშეთში, ყოფილი მუსიკალური სკოლის შენობის ცენტრალური გათბობის ქვაბის შეკეთების სამუშაოების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი მომსახურების ღირებულება შესადგენს: 500 (ხუთასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

მომსახურება გაწეული იქნება მისამართზე: ქ. დუშეთი,

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს მომსახურების მიწოდება. იგი პასუხისმგებელია გასაწევი მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.
5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული მომსახურების ღირებულება.
5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.
5.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი ,,შესრულების" აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მატერიალურ- ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.

8. მიწოდებული მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
9.2 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად შესაბამისი ,,მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.
9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.
10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.
10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორების დადების ან სუბ-კონტრაქტორების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
16.6 16.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა – 2017 წლის 10 აპრილი.
18.2. ხელშეკრულების მიწოდების ვადაა – 2017 წლის 10 მარტის ჩათვლით.
18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

შემსყიდველი ორგანიზაცია:

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის შემსრულებელი: /ბ. ლარიბაშვილი/

მიმწოდებელი:

ფ/პ „კახაბერ ქიტიაშვილი“ /კ. ქიტიაშვილი/

იურისტი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY

KA990177485844017

№ 571/ს

27 / თებერვალი / 2017 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. დუშეთში, ყოფილი სამუსიკო სკოლის შენობაში ცენტრალური გათბობის ქვაბის შესაკეთებლად დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

მ/წლის 20 თებერვალს, ქ. დუშეთში ყოფილი სამუსიკო სკოლის შენობაში მწყობრიდან გამოვიდა ე. წ. „ცენტრალური გათბობის ქვაბი", რამაც გამოიწვია გათბობის სისტემის გათიშვა, რომლის სარემონტო სამუშაოებისათვისაც წარმოდგენილი დეფექტური აქტის მიხედვით საჭიროა 500 ლარი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ქ. დუშეთში, ყოფილი სამუსიკო სკოლის შენობის გათბობის სისტემის სარემონტოდ - ცენტრალური გათბობის ქვაბის შესაკეთებლად დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 500 ლარი.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურმა (მ.ზაქაიძე) უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესით შესყიდვების განხორციელება;

3. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს ამ თანხის დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს გათვალისწინება და თანხის გადარიცხვა.

4. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა 2,3, პუნქტებით განსაზღვრული პირებისათვის.

3

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ვაჟა ჩოხელი

20.02.2017წ.

დეფექტური აქტი

ზემო ქვემოთ ხელის მოწერილნი: ერთის მხრივ(ფიზიკური პირი) - კახაბერ ქიტიაშვილი პ/ნ 31001017168 და მეორეს მხრივ დუშეთის მუნიციპალიტეტის გაძღოლის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების უფროსი - გია ჭონქაძე ვადგინთ დეფექტურ აქტს, მასზედ, რომ 2017წლის 17 თებერვალს ქ. დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ცენტრში მწყობრიდან გამოვიდა ცენტრალური გათბობის ქვაბი, რომელიც საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს:

კერძოდ:

1. გასაწმენდია გაზის სარქველები, ღირებულება - 300ლარი.
2. ძიძახურების სარეკები - 200ლარი.

ჯამში: ხარჯთაღრიცხვის ღირებულება შეადგენს სულ - 500 ლარს.

დეფექტური აქტის ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად ხელის მოწერით:

ქიტიაშვილი

/ ქ. ქიტიაშვილი/

სამ. ტექ. განყოფილების უფროსი:

/გ. ჭონქაძე/